№ 62

ფასი 50 კ.

წელიწადი მეორე — მთავრობის მოამბე

წელიწადი მეორე — ყოველდღიური გაზეთი

# საქართველოს რესპუბლიკა

ოთხშაბათი, 19 მარტი 1919 წ.

**მთავრობის მოამბე, ყოველდღიური გაზეთი**

(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

## „საქართველოს რესპუბლიკა“

**მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის.**

**ხელის მოწერის ფასი:** ერთი წლით—120 მ. ნახევარი წლით—60 მ., ერთი თვით 10 მ. ცალკე ნომერი ყველგან 50 კაპ. სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით, კერძო განცხადებანი შეთანხმებით. გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ბარონის ქ. № 6, ტელეფონი 12—42.

## სახელმწიფო თეატრი

— ოპერა. —

ს. ი. ევლახიშვილის დირექცია.

ოთხშაბათს, მარტის 19-ს, შულგინას, გრანელის, სარაჯიშვილისა და ინაშვილის მონაწილეობით

### „აბესალომ და ეთერი“.

446 1—1

ხუთშაბათს, მარტის 20-ს, საბანეევას, კანშინის, პოლიაევისა და ნიკოლსკის მონაწილეობით

### ბოჰემა

პარასკევს, მარტის 21-ს, სპიტკოს, მოროზოვას, ვრონსკის, ტაბენეცკის, მოლჩანოვისა და დემიანენკოს მონაწილეობით

### წითელი მზე

შაბათს, 22-ს შვამბერგის, კანშინის, პოლიაევის მონაწილეობით

### ოტელო

კვირას, 23-ს, დილით

### სნეგუროჩკა

საღამოს საბანეევას, სპიტკოს, სარაჯიშვილისა და ნიკოლსკის მონაწილეობით

### მინიონი

**კბილის ექიმი**

### ნ. მ. კაკანაძე

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე გარდა კვირა უქმე დღეებისა დილით 9—2 ს. საღამოთი 5—7 ს. მისამართი: ვერის დაღმართი, № 1 ბინა 20. მელიქ აზარიანის სახლი.

**გამოვიდა და იყიდება ჟურნალი**

№ 7–8

### „საქართველოს ეკონომისტი“

იბეჭდება და ამ დღეებში გასასყიდად გამოვა

**დ. თურდოსპირელის ნოველების კრებული**

### გაწყვეტილი ზღაპარი

**ფასი 5 მანეთი**

## ოფიციალური განყოფილება

### განკარგულებანი

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრისა.

8 მარტი, 1919 წ.

№ 8.

**ინიშნებიან:** ფოთის საბაჟოში: ფოთის საბაჟოს გამგის თანამდებობის აღმასრულებელი გამგის თანაშემწე ალ. მიქაძე გამგედ პირველი თებერვლიდან 1919 წლისა. უფროსი კანტრალიორი ამავე საბაჟოსი ი. საბახტარაშვილი გამგის თანაშემწედ პირველი ამა მარტიდან.

ნამდვილს ხელს აწერს ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის მაგიერ

**კ. კანდელაკი.**

მთავარ საბაჟოს გამგე **ბ. მიქაძე.**

7 მარტი, 1919 წ.

№ 18.

**ინიშნებიან:** ყოფილ ქუთაისის გუბერნიის კომისარის კანცელარიის მმართველი ალექსანდრე შენგელია და ქუთაისის გუბერნიის სამხედრო საკრებულოს მუდმივი წევრი პავლე შენგელია პირველი შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებულ ადმინისტრატიულ ნაწილის ინსპექტორის განსაკუთრებულ მინდობილებათა მოხელეთ, მეორე კი იმავე ინსპექტორის კანცელარიის საქმის მწარმოებლად

ხელს აწერს შინაგან საქმეთა მინისტრი

**ნ. რამიშვილი.**

5 მარტი, 1919 წ.

№ 20.

**გამორიცხულ იქმნას:** ამა წლის 1 მარტიდან ქალ. ტფილისის გუბერნის ვეტერინარის თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებელი ვეტერინარი პლატონ ბუჯანაძე, ქალ. ტფილისის საკაკლაოზე ვეტერინარად დანიშვნისა გამო.

ხელს აწერს: შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი **გ. მახარაძე.**

14 მარტი, 1919 წ.

№ 21.

**ინიშნება:** საქმის მწარმოებლის მოვალეობათა აღმასრულებლად დაშვებული შინაგან საქმეთა კანცელარიის საქმის მწარმოებლის თანაშემწე გიორგი ალექსანდრეს ძე შაკოვი იმავე კანცელარიის საქმის მწარმოებლად, ამა წლის 1 მარტიდან.

მინისტრი ნ. **რამიშვილი.**

## არა ოფიციალური განყოფილება

## მთავრობაში

**ეკონომიურ კომისიის გაუქმება.**

ეკონომიური კომისია უკრაინაში გაუქმებულ იქმნას ამა წლის 15 მარტიდან. გაეხსნას ფინანსთა მინისტრს ზემო ხსენებულ კომისიის შესანახათ 1918 წ. 1 ოქტომბრიდან 1919 წლ. 15 მარტამდე გაწეულ ხარჯების დასაფარავათ 10 მილ. ფონდიდან 35465 მ. კრედიტი.

**აჯამეთის სარწყავი არხის შესაკეთებლათ.**

გადაიდოს ფინანსთა მინისტრის განკარგულებაში ავანსის სახით 10 მილ. ფონდიდან 25000 მ. აჯამეთის სარწყავი არხის შესაკეთებლათ.

**რკინის-გზით მოტანილ საქონლის შესახებ.**

სახელმწიფოს უფლება აქვს არ მოახდინოს საჯაროთ იმ საქონლის გაყიდვა, რომელიც მოტანილია რკინის გზით და თანახმათ კანონისა 4 თვის განმავლობაში დახსნილი არ იქნება. სახელმწიფოს უფლება აქვს თვითონ შეიძინოს კომისიის მიერ შეფასებულ ფასებში.

**ფინანსთა სამინისტროსათვის.**

გადაიდოს ფინანსთა მინისტრის განკარგულებაში 10 მილიონიან ფონდიდან 4,000 მ. ფინანსთა სამინისტროს 1919 წ. ხარჯთ-აღრიცხვის ანგარიშის გადასახადთა და სახელმწიფო სამმართველოსათვის § 1 მუხლი 4, ხაზინაში შეცდომით შეტანილ თანხის დასაბრუნებლათ.

**ყოფილ მოხელეთა დაკმაყოფილება.**

გადასახადთა და სახელმწიფო ხაზინის უფროსის განკარგულებაში გადაიდოს 10 მილ. ფონდიდან 12,000 მ. ტფილისის ხაზინის ყოფილ მოხელეთა სალიკვიდაციო ჯილდოთი დასაკმაყოფილებლათ.

**ხარჯების დაფარვისათვის.**

საქონლის გაცვლა გამოცვლის კომიტეტის თავმჯდომარის განკარგულებაში გადაიდოს 10 მილ. ფონდიდან 29,400 მან. აღნიშნულ კომიტეტის 1919 წ. პირველი 3 თვის ხარჯების დასაფარავათ.

**სალიკვიდაციო თანხის მიცემა.**

იმ მოსამსახურეებს, რომელნიც იყვნენ საქართველოს რესპუბლიკის სამსახურში 1918 წ. 26 მაისიდან მიეცეთ სალიკვიდაციო ჯილდო საერთო წესით, თანახმათ 1918 წლ. 5 ივლისის კანონისა ნაღდ ფულათ. იმ მოსამსახურეთ კი, რომელნიც განუწყვეტლივ იყვნენ ჯერ რუსეთის სამსახურში შემდეგ კი საქართველოს სამსახურში გაუსწორდეთ ანგარიში შემდეგი წესით: 5 ივლისისის კანონის ნორმით) ის სალიკვიდაციო თანხა, რომელიც ეკუთვნის მათ 1918 წ. 26 მაისამდე სამსახურისათვის მიეცეს საკრედიტო მოწმობის სახით რუსეთის ხაზინის სახელობაზე; ასევე ცალკე უნდა გამოიანგარიშონ რაოდენობა სალიკვიდაციო ჯილდოსი სამსახურისთვ ის 1918 წ. 26 მაის შემდეგ, რაც უნდა მიეცეთ ნაღდ ფულათ საერობო წესით.

**უმცროს მოხელეთა ჯამაგირების გათანასწორება.**

ცნობილ იქმნას საჭიროთ დაუყოვნებლივ გატარება ცხოვრებაში თანახმათ მთავრობის 1918 წ. 10 დეკემბ. დადგენილებისა უმცროს მოხელეთა ჯამაგირების გათანასწორება ყველა სახელმწიფო დაწესებულებებში.

**დახმარება.**

წინადადება მიეცეს ყველა სახელმწიფო დაწესებულებებს, რომელნიც განაგებენ სასურსათო და მომარაგების საქმეს, რათა დაუყონებლივ აღმოუჩინონ ხოლმე ყოველგვარი დახმარება სურსათის და სხვა მასალის მიღებაში და დამზადებაში სახელმწიფო მოხელეთა მდგომარეობის გაუმჯობესების გამგე კომისიას და სახელმწიფო მოხელეთა კოოპერატივს' წინადადება მიეცეს უმცროს მოხელეებს ჩაეწერონ სახელმწიფო კოოპერატივის წევრებათ.

## მიწათ-მოქმედების სამინისტროში

**შტატის შემცირება.**

მიწმთ-მოქმედების სამინისტროსთან არსებულ სტატისტიკურ განყოფილების მოსამსახურეთა შტატის შემოკლება უკვე დაიწყო. ჯერჯერობით ამ მიზნით დათხოვნილია 17 კაცი, მომავალში სამუშაოს შემცირებასთან ერთად მოხდება თანდათანობით დათხოვნა დანარჩენ მოსამსახურეებსაც. განზრახულია მუშაობა მაისამდე დამთავრდეს, რის შემდეგაც დარჩენილ მოსამსახურეთა სრული ლიკვიდაცია მოხდება.

## იუსტიციის სამინისტროში

**ბ. დვალიშვილის საქმე.**

ტფ. სამოსამართლო პალატის ბრალმდებელმა აუწყა შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომ საქმე ფოთის ნავთსადგურის ყოფილ გამგის გ. დვალიშვილისა, რომელსაც 341 მუხ. ბრალი ედება ქუთაისის საოლქო სასამართლოს წევრის კაპანაძის ხელშია გადაცემული საწარმოებლათ.

**ბოლშევიკების შესახებ.**

სამხედრო სამინისტრომ აცნობა შინაგან საქმეთა მინისტრს, რომ თანახმათ სამხედრო მინისტრის რეზოლიუციისა საინტენდანტო გაანთავისუფლებს შინაგან საქმეთა სამინისტროს ბოლშევიკებისაგან.

## ახალციხის ფრონტზე.

**ფოცხოვის მხარეზე.**

15 მარტი 18 ს. 45 წ. სროლა და თავდასხმა ფოცხოვის მხრიდან არ ცხრება.

მზვერავობით გამოირკვა, რომ მტერი მკვიდრდება სოფ. პაპანოს ჩრდილოეთით, გუშინ მტერი თავდაცემის შემდეგ, გარეკილი სოფ. ვადელიდან გაემართა ჩრდილო დასავლეთით, სადაც შეეხეჩა პირველ პოლკის რაზმს

და დიდათ დაზარალდა. ჩვენმა რაზმმა 8 კაცი დაკარგა.

პოლკოვნიკი გედევანიშვილი.

16 მარტი 9 ს. 55 წ. ფოცხოვის მხრიდან სროლა არ სწყდება. გუშინ, საღამოს ჯარებმა დაიკავეს სამშვიდობო გზა და დღეიდან დილით უკვე იწყებენ მოქმედებას ფოცხოვის წინააღმდეგ სტრატეგიულ მოსაზრებით.

პოლკოვნიკი გედევანიშვილი.

**ჩილვანი და შუგლაურის მაღლობების გადალახვა.**

16 მარტი 18 ს. 55 წ. ქარალზე ჩვენ ჯარების წინსვლის დროს ბადელის რაიონში სიმაღლეებიდან მას აუტეხეს ს ოლა. მაშინ ჩემის ბრძანებით ჩვენმა ჯარმა მტერზე იერიში მიიტანა და დაახევინა სამხრეთით. მტერს ტყვიის მფრქვეველები აღმოაჩნდა. 16 ს. ჩვენმა ჯარებმა გადალახეს რაიონ ჩილვანის და შუგლაურის მაღლობები.

გენ. კვინიტაძე.

16 მარტი 21 ს. 40 წ. დამატებითი ცნობით სოფ. შუგლაურის ბრძოლაში ფეხოსანმა ჯარმა წაართვა მტერს ტყვიისმფრქვეველი. საღამოზე ჩვენმა ჯარმა მიაღწია შუაწყლამდე, შუგლაურამდე, ჩილვანს და ჩირალს.

პოლკ. გედევანიშვილი.

**სამხედრო მინისტრის დეპეშა გენ. კვინიტაძეს.**

სამხედრო მინისტრმა ჩვენი ჯარების გამარჯვების გამო შემდეგი დეპეშა გაუგზავნა გენ. კვინიტაძეს ახალციხეში:

„გთხოვთ გადასცეთ ჩემი გულწრფელი მადლობა ჯარებს რესპუბლიკისა და სამშობლოს დაცვის საქმეში.

სამხედრო მინისტრი გიორგაძე.

**ფოცხოვის მცხოვრებთა მიერ მორჩილების გამოცხადება.**

მთელმა დღემ ახალციხის ფრონტზე მშვიდობით ჩაიარა. ჯარების გადაწესრიგება არ მომხდარა. გუშინ 16 მარტს, ფოცხოვის რაიონის ზოგიერთ სოფლების მცხოვრებნი გამოცხადნენ და მორჩილება გამოაცხადეს. დღეს 17 მარტს ფოცხოვის რაიონის 60 სოფლის წარმომადგენელნი გამოცხადნენ სოფ. ბადელში და მთხოვეს სამხედრო მოქმედება მოშეჰო და მზათ იყვნენ მიიღონ ჩემი პირობები. ჩემი პირობანი ყველა მიიღეს სახელდობრ:

1) გადმოგვცეს მთელი სასროლი იარაღი და სამხედრო მასალა. 2) გადმოგვცეს მეთაურები და მეამბოხენი. 3) გადმოგვცეს მთელი დარბეული საქონელი ახალციხე ახასთუმანში. 4) ფოცხოვში დარჩენილ ჩვენ ჯარების ნაწილის უზრუნველყოფა საქონლის ხოლცით ვიდრე ამ ნაწილებს იქიდან გამოვიყვანდეთ. 5) ჩამოტანილ იქმნეს ახალციხეში ლტოლვილებისათვის $2^1/_2$ ათასი ფ. ფქვილი, 1 ათასი ფ. ქერი და 1 ათასი ფ. თივა. ამ მოთხოვნილებათა შესრულების გარანტიათ ჩემ მიერ დატოვებულ იქმნენ ტყვეები. დელეგაციის თავში იყვნენ სერვენტ ბეგ ჰასანბეგოვ ზადე და ახმედბეგ ფოცხოველი. ეს უკანასკნელი „ყარსის მთავრობის“ მიერ იყო დანიშნული ფოცხოვის ნაწილის კომისრათ.

# დამფუძნებელ კრებაზე.

სამშაბათს, 18 მარტს დამფუძნებელი კრების სხდომაზე არჩეულ იქნა თავმჯდომარის ამხანაგები: ექვთიმე თაყაიშვილი (ნ. დ.) და ს. მდივანი (ს. ფ.) მდივნებათ ქრისტინე შარაშიძე (ს. დ.) და გ. ნათაძე (ს. რ.) დასახელებულ იქნა რამოდენიმე კომისიის წევრები; კომისიების შემადგენლობა გამოქვეყნებული იქნება ხვალინდელ ნომერში.

# მილოცვანი

**აზერბეიჯანის მილოცვა.**

დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის სახელზე შემდეგი დეპეშა მოვიდა აზერბეიჯანის პარლამენტის თავმჯდომარის ა. ალაევისაგან:

„აზერბეიჯანის პარლამენტმა დღეს 12 მარტს საზეიმო სხდომაზე გამართულ რუსეთის დიდ რევოლიუციის მეორე წლის თავზე დამავალა მე მოვესალმო მეგობარ საქართველოს რესპუბლიკას საისტორიო დღით—დამფუძნებელ კრების გახსნით. საქართველომ, შეერთებულმა მიზანშეწონილ ლტოლვაში, ნაციონალურ მოლოდინთა განხორციელებაში, შეუდრეკლათ, მიუხედავათ ათასგვარ მსხვერპლისა, მიაღწია მას, რასაც ჯერაც ვერ მიხწევია არც ერთი თვითგამორკვეული ეროვნება. საქართველოს ერის მიერ ამნაირ არა ჩვეულებრივ ნების გამოსახვისთვის მოლოდინთა განხორციელების საქმეში შეადგენს საუკეთესო ფურცელს ერთა განთავისუფლების ისტორიაში. საქართველოს დამფუძნებელი კრება, რომელიც მოწვეულია საქართველოს სახელმწიფო არსებობის საბოლოო ფორმის გამოსარკვევათ ეჭვს გარეშეა, იქნება კავკასიის დანარჩენ ერების მოლოდინთა გამომხატველი, რომ მხოლოთ ნაციონალურ-ტერიტორიალურ დამოუკიდებლობაში ხედავენ თვის ნაციონალურ ბედნიერებას. სულიერათ აღფრთოვანებული წრფელი სიყვარულით და ერთა უფლებათა პატივისცემით დამოუკიდებელი სახელმწიფონი ამიერ კავკასიისა შესძლებენ უმტკივნეულოთ გადასწყვიტონ ყოველგვარი შინაური საკითხები როგორი მწვავენიც არ უნდა იყვნენ ისინი. აზერბეიჯანის პარლამენტი უძღვნის მხურვალე სურვილებს საქართველოს კეთილდღეობისათვის, მის საუკეთესო შვილების სახით, რომელნიც მოწვეულ არიან მრავალი რთული სახელმწიფოებრივ საკითხთა გადასაწყვეტათ და ღრმათ დარწმუნებულია იგი, რომ კავკასიის ერთა ოჯახი შესძლებს ერთხელ და სამუდამოთ ღირსეულათ დაიცვას საყვარელი კავკასია ყოველგვარ ბნელ ძალათა გამოლაშქრებისაგან.

**სომხეთის მილოცვა.**

სომხეთის რესპუბლიკის მთავრობისაგან საქართველოს დამფუძნებელ კრების სახელზე შემდეგი დეპეშა მოვიდა:

„დღევანდელ საისტორიო დღეს, როდესაც დამოუკიდებელი საქართველოს ერი მედგრათ აცხადებს თვის ნებას სომხეთის რესპუბლიკის მთავრობა უძღვნის სუვერენულ დამფუძნებელ კრებას თვის გულწრფელ სალამს. დეე, ზეიმითა და სიხარულით იქუხოს საერთო ხმამ თავისუფალ და დამოუკიდებელ საქართველოისამ ასრე მადლობელმა უხსოვარ დროიდან სომხეთის მეზობლისამ. და, დეე, განმტკიცდეს სამარადისოთ მეგობრობა, და შეურყეველი კავშირი საქართველოსა და სომხეთ შორის, რომელთა ბედიცა და ძალაც ასე განუყრელათ გადაჭდილ არიან ერთმანეთში. სომხეთის მთავრობას ღრმათ სწამს, რომ საქართველოს დამფუძნებელი კრება შემოიკრებს თვის გარშემო ქვეყნის ცოცხალ ძალებს და მთლიანათ გაატარებს ცხოვრებაში უმაღლეს მის ხვაბს თვის კუთხეში როგორც ერთა და ტომთა საკეთილდღეოთ და საბედნიეროთ. გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს! გაუმარჯოს მის დამფუძნებელ კრებას.

# პასუხი მილოცვების დეპეშებზე

**პასუხი აზერბეიჯანის პარლამენტს.**

უფროს თავმჯდომარემ დამფუძნებელ კრებისა ალ. ლომთათიძემ შემდეგი დეპეშა გაუგზავნა აზერბეიჯანის პარლამენტს ბაქოში საპასუხოთ იმ დეპეშის საპასუხოთ, რომელიც მან მიიღო საქ. დამფუძ. კრების გახსნის დღეს.

„დამფუძნებელი კრება საქართველოსი უძღვნის ღრმა მადლობას აზერბეიჯანის პარლამენტს მის მიერ გამოცხადებულ გრძნობებზე და თავის მხრივ სწირავს მხურვალე სალამს. დამფუძნებელი კრება გამოხატავს რა საქართველოს დემოკრატიის მტკიცე სურვილს ხებას ყველა ერთა ძმობას, აღბეჭდილს თვის დროშაზე, და რომელიც მოწვეულია მტკიცე სამიოკველის ხისაყრელათ თავისუფალ დამოუკიდებელ დემოკრატიულ რესპუბლიკისა, რომელიც ფუძეთ უნდა უძევდეს კავკასიის ერთა ძმურ ცხოვრებას, იმედს გამოსთქვამს უფრო ძლიერ გახაამტკიცოს უხსოვარ დროიდან არსებულ მეგობრული განწყობილება აზერბეიჯანის ხალხთან, რომელთა ერთობა თავდებია ორთავ მეზობელ რესპუბლიკათა აყვავებისა და მათი თავისუფლების და დამოუკიდებლობის დაცვისა. დამფუძნებელი კრება აუცილებლათ იქნება გამომხატველათ დემოკრატიის ხოახვათა სხვა დანარჩენ მეზობელ რესპუბლიკებისასაც და იგი დარწმუნებული, რომ კავკასიის დემოკრატია არავისგან არ განიცდის დაბრკოლებას შინაურ აღმაშენებლივ საქმის წარმოებაში და თვის სამშობლო კუთხის დაცვაში გარეშე საკითხისაგან.

**პასუხი სომხეთის მთავრობას.**

სომხეთა მთავრობის თავმჯდომარეს დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის მაგიერ მის უფროს ამხანაგმა ბ. ალექსანდრე ლომთათიძემ შემდეგი დეპეშა გაუგზავნა ერევანში:

„საქართველოს დამფუძნებელი კრება გიძღვნით მადლობას სომხეთის რესპუბლიკის მთავრობას. იგი რომელიც ტკივილით იგონებს სომხეთ საქართველოს ომის სამწუხარო ფაქტს, სომხეთისა და საქართველოს მეგობრულ დამოკიდებულობათა ისტორიაში შავი სტრიქონებით ჩაიწერა. ღრმათ სწამს, რომ ეს ფაქტი დაარწმუნებს რა ორივე რესპუბლიკის დემოკრატიას მასში, რომ ბედნიერება-ძმობასა და ერთობაშია, მალე დაივიწყებს მას და ორივე ხალხს შორის დამტკიცდება მტკიცე დაურღვეველი მეგობრობა კავკასიის რესპუბლიკათა მეზობელი მთავრობები ნახავენ საერთო ენას ყველა საკითხებისთვის რომელნიც საერთაშორისო დამოკიდებულებაში აღიძრება გადაიჭრება მშვიდობიანობის გზით. თუ სომხეთი და საქართველო მეგობრულათ სცხოვრობდენ კავკასიის ხალხთა მუდმივ არევ დარევისა და ომების დროს მით უფრო ეხლა მტკიცე უნდა იყოს მეგობრობა იმ დროს, როდესაც გამარჯვებულია საერთაშორისო დემოკრატია რომლის დროშაზედაც მშვენიერებს საუკუნო მშვიდობიანობა და ხალხთა სოლიდარობა.

**პასუხი სომეხთა საბჭოს.**

დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის მოადგილის მაგიერ თავმჯდომარის უფროს ამხანაგმა ალ. ლომთათიძემ შემდეგი დეპეშა გაუგზავნა სომეხთა საბჭოს თავმჯდომარეს ერევანში:

„საქართველოს დამფუძნებელი კრება მხურვალე მადლობას უძღვნის სომხეთის საბჭოს მილოცვისათვის, გამოსთქვამს ღრმა რწმენას, რომ იგი როგორც სრულ უფლებით აღჭურვილი ორგანო საქართველოს დემოკრატიისა მაღლა მჭერელი თავისუფლებისა და საერთაშორისო სოლიდარობის დროშისა, მუდამ დარაჯათ ედგება მშრომელ მასის ინტერესებს და ეროვნულ უმცირესობათა უფლებებს. დამფუძნებელი კრება დარწმუნებულია, რომ ეროვნული უმცირესობანიც შეეცდებიან მხარი დაუჭირონ მას დემოკრატიის მოპოებულ უფლებათა განმტკიცებაში, რომელიც ერთათ ერთი ბაზაა ნაციონალურ ერთუფლებრივობასა და საბოლოო გამარჯვებისა კაცობრიობის საუკეთესო იდეალთა.

# დამფუძნებელ კრების გახსნის გამო

საგარეო საქმეთა მინისტრმა რადიოთი შემდეგი შეტყობინება პარიზში მყოფ საქართველოს დელეგაციის წევრებს ჩხეიძეს და წერეთელს:

12 მარტს, დღის 12 საათზე, გაიხსნა დამფუძნებელი კრება. თავმჯდომარეთ ერთხმად არჩეულ იქმნა ნიკოლოზ ჩხეიძე. დამფუძნებელმა კრებამ სავსებით მიიღო და დაადასტურა, ეროვნულ საბჭოს მიერ 26 მაისს 1918 წ. აღიარებული აქტი საქართველოს დამოუკიდებლობისა. ძირითადი დებულებანი ამ აქტისა შემდეგში მდგომარეობს: ამ დღიდან საქართველოს ერი მატარებელია სუვერენულ უფლებების და საქართველო სრულ უფლებიანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა. დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური ფორმა არის დემოკრატიული რესპუბლიკა. საერთაშორისო შეჯახების დროს საქართველო მუდმივ ნეიტრალიტეტს იცავს.

# ქალაქის საბჭო

ორშაბათს, 17 მარტს ბ-ნ ალ. ს. ლომთათიძის თავმჯდომარეობით ტფილისის საბჭოს სხდომა შესდგა.

ქალაქის მედიკო-სასანიტარო ინსპექტორმა ბ-მა მიქელაძემ მოახსენა ტფილისში სახადით ავათმყოფობის მიმდინარეობის შესახებ მარტის პირველ კვირის განმავლობაში. მედიკო-სასანიტარო ბიუროს რეგისტრაციაში შეუტანია 630 სახადით ახალი ავათმყოფი, ხოლოთ მეორე კვირის განმავლობაში კი ავათ გამხდარა ამ სენით 479. ამ სახადით ავათმყოფების რიცხვიდგან 899 სახადიანი საავათმყოფოში გაუგზავნიათ და 200 ავათმყოფი კი მათ ბინებში დაუტოვებიათ, ხმ. მიკირტუმოვმა აღნიშნა, რომ სახადიანების საავათმყოფოში გაგზავნა და მათ ბინების დეზინფექციის გაკეთება მრავალ შემთხვევაში ძლიერ გვიანდება. ექიმმა შ. ა. მიქელაძემ უპასუხა მას, რომ ეს ხდება იმიტომ, რომ სადეზინფექციო კამერის შტატი ვერ ასწრებს ასე დიდ რიცხვის ავათმყოფების საკუთარ დანიშნულ ეტლებით და ავტომობილებით გადაყვანას და აგრეთვე დეზინფექციის მოხდენას.

საბჭოს მდივანმა ვ. თ. ხახანაშვილმა მოახსენა საბჭოს მის მიერ არჩეულ კომისიების მუშაობის შესახებ. ყველა კომისიას, გარდა სამიწოსა, ამოურჩევიათ თავმჯდომარენი და მუშაობას შესდგომიან, ამასთანავე ჩამოსთვალა რომელ კომისიას რამდენი სხდომა ჰქონია და დაასახელა ხმოსნები, რომელნიც ესწრებიან სხდომებზე და რომელნიც არა, ანუ ვის რამდენი სხდომა გაუშვია.

ორივე მოხსენებანი საბჭომ მხედველობაში მიიღო.

შემდეგ ხმ. ვ. ა. ბურჯანაძემ საბჭოს მოახსენა სარედაქციო კომისიის მიერ გასინჯული საბჭოს რეგლამენტი, რომელიც დამტკიცებულ იქნა.

ქალაქის მოურავის მოადგილემ გ. გ. კონიევმა მოახსენა საბჭოს სახალხო უნივერსიტეტის ქალაქის გამგეობის მხედველობის ქვეშ გადმოსვლის შესახებ. ხმ. ა. ვ. ახმეტელმა და სხვ. საჭიროთა სცნეს ამ საკითხის [illegible] და საბიუჯეტო-საფინანსო კომისიაში [illegible] ცემა და მათი დასკვნის მოსმენა. საბჭომ მიიღო ეს წინადადება.

ხმ. პ. მ. კახიანმა მოახსენა იურიდიულ კომისიის პროექტი ქალაქის 22 მომრიგებელ უბნებზე განაწილების შესახებ თანახმათ საბჭოს მიერ ამორჩეულ მომრიგებელ მოსამართლეთა რიცხვისა. საბჭომ ტფილისის ამ პროექტში აღნიშნულ მომრიგებელ უბნებზე დაყოფის ნება დაართო.

დღიურ წესრიგისამებრ მოხდა ქალაქის გამგეობის მეხუთე წევრის არჩევნები. მეხუთე წევრს საბჭომ იგივე ჯამაგირი დაუნიშნა, რომელიც ეძლევა დანარჩენ ოთხს, რის შემდეგაც სოც.-დემ. ფრაქციამ კანდიდატათ დაასახელა სიო ჰანტურიშვილი, რომელსაც საფინანსო სამინისტროს კანცელიარიის დირექტორის თანამდებობა უჭირავს. სხვა კანდიდატები არ დაუსახელებიათ და მარტომ მას უყარეს კენჭი. ს. ჰანტურიშვილმა მიიღო 42 თეთრი კენჭი და შავი არც ერთი და ერთხმათ არჩეულ იქმნა ქალაქის გამგეობის წევრათ.

გამგეობის მოხსენებამ ქალაქის თვითმართველობის ყველა მოსამსახურეთა ჯამაგირებზე მეშვიდე მომატების შესახებ დიდი კამათი გამოიწვია. ქალაქის გამგეობის და საბიუჯეტო-საფინანსო კომისიის დადგენილების თანახმათ, ყველა საქალაქო მოსამსახურეთ, მათ შორის მილიციას და ტრამვაიის მოსამსახურეთაც, უნდა მოემატოს კიდევ მომატებულ ჯამაგირზე 250 მ. თვეში თითოს პირველ იანვრიდგან, რაც გამოიწვევს ზედ დამატებითი ხარჯს წელიწადში $13^1/_2$ მილიონ მან. რაც შეეხება საკითხს კვალიფიციურ მუშათა ამ 250 მან. გარდა კიდევ 150 მან. მომატებას, ამაზე მსჯელობა გამგეობას მოკლე ხნით გადუდვია. ამ ხარჯის დასაფარავათ გამგეობას მხედველობაში აქვს გარდა ტრამვაის ტარიფის და სატრაქტირო გადასახადის გადიდებისა, მოუმატოს ფასი მილის წყალზე, საქონლის საკლავში დაკვლაზე, საფუთო გადასახადზე, უძრავ მამულ დასაფასებელ გადასახადზე და სხვ.

ხმ. გ. გველესიანის შეკითხვაზე ქალაქის მოურავის მოადგილემ უპასუხა რომ შიკრიკებს ძირითადი ჯამაგირი აქვთ 30 მან და ზედ დამატებით ეხლა იღებენ 520 მან. რომელსაც მოემატება კიდევ 250 მან. მასწავლებლებს ჰქონდათ ჯამაგირი 75 მან. ეხლა მათ ეძლევა 600 მან., კონდუქტორებს და ვატმანებს ჰქონდათ 30 მან. ეხლა ეძლევა მათ 650 მან.

ხმ. ს. მდივანს წინადადება შეაქვს ეს საკითხი გადიდოს, სანამ გამგეობა მონახავს იმ წყაროებს, საიდგანაც შეეძლოს მას ზედ დამატებით 14 მილიონის ხარჯის გაწევა. ხმოსანი წინააღმდეგი არ არის მომატებისა, მაგრამ, შიშობს, რომ ქალაქი ვერ შესძლებს ამ დაპირების ასრულებას და არ მოხდეს ის, რაც მოხდა ამ ნიადაგზე ტყიბულის ქვა-ნახშირის მაღაროებში.

ხმ. ივ. გომართელი წინააღმდეგია საკითხის გადადებაზე, როდესაც მოსამსახურეები თხულობენ პურის ჭამას.

დიდი კამათის შემდეგ საბჭომ დაამტკიცა გამგეობის მოხსენება და ყველა მოსამსახურეთა დაუნიშნა 250 მან. მომატება თვეში.

შემდეგ საბჭომ რამდენიმე წვრილი საკითხები განიხილა. სხვათა შორის მიიღო გამგეობის მოხსენება ფაბრიკა ქარხნის და სხვა საწარმოვო დაწესებულებიდან მოყვანილ ავათმყოფების საექიმოდ დღეში 20 მან. გადახდევინების შესახებ.

ღამის მე-12 საათზე საბჭოს სხდომა დაიხურა.

# საქართველოს საკრედიტო დაწესებულებათა წარმომადგენლების ყრილობა.

16 მარტს კავკასიის ბანკის შენობაში გაიხსნა საქართველოს საკრედიტო დაწესებულებათა წარმომადგენლების ყრილობა. ყრილობას 86 წარმომადგენელი დაესწრო. თავმჯდომარეთ არჩეულ იქმნა პ. ა. გოთუა, მდივნათ კ. ნ. მხეიძე. ფინანსთა მინისტრი და პარლამენტის საბიუჯეტო საფინანსო კომისიის თავმჯდომარეთ დ. ა. თოფურიძე, რომელნიც კრებას დაესწრენ საპატიო წევრებათ იქმნენ არჩეულნი. ფინანსთა მინისტრმა მიმართა სიტყვით. მოსმენილ იქმნა სახელმწიფო ბანკის კომისრის მოხსენება საქართველოს ხაზინის 5% მოკლევადიან ვალდებულობის რეალიზაციის შესახებ 50 მილ. მანეთის რაოდენობისა. კრებამ დაადგინა ამ რეალიზაციაში მონაწილეობა მიიღოს ყველა საკრედიტო დაწესებულებამ და დაევალოთ მათ საქმის წარმოება სახელმწიფო ენაზე აწარმოონ. შემდეგ მოსმე-

ნილ იქმნენ მოხსენებანი გოთუასი, ი. ლორთქიფანიძის და ჩხეიძის. არჩეულ იქმნა საგანგებო კომისია, რომელსაც დაევალა მიიღოს ზომები საკრედიტო დაწესებულებათა ნორმალურ პირობების აღდგენისა. ყრილობა 3 დღეს გასტანს.

16 და 17 მარტის სხდომაზე მოსმენილ იქნა მოხსენებანი მომხმარებელ საზოგადოების წესდების გადამუშავების შესახებ. აგრეთვე მომხმარებელ ამხანაგობის და ცენტრალურ სახალხო ბანკის ტფილისში ორგაიიზაციაზე, მოსკოვის ბანკის ნიმუშით. შემუშავებულ იქმნენ ახალი წესდებები და გადაეცა ყრილობის კომიტეტს სარედაქციოთ და მთავრობის წარსადგენათ. მოსმენილ იქმნა მოხსენებანი ომში დაზარალებულ ბანკების: ბათომის, ოზურგეთის, ოჩემჩირის, გუდაუთის და ჭიათურის დახმარების შესახებ, აგრეთვე მომხმარებელ საზოგადოების ახალციხისა და ბორჩალოს მაზრების, აგრეთვე საქართველოში ბანკის დაარსების შესახებ. ხანგრძლივი კამათი გამოიწვია, საქონლის გაცვლა გამოცვლის საკითხმა საქართველოსა და საზღვარ გარეთის შესახებ. ამასთანავე მოსმენილ იქმნა დაწვრილებითი ცნობები საქონლის გაცვლა გამოცვლის უზრუნველყოფისათვის. ამ კითხვების შესახებ მოხსენება გააკეთეს: ვაჭრობა მრეწველობის მინისტრის ამხანაგმა დ. აბხაზმა, პ. გოთუამ და ს. მდივანმა.

# პალეონტოლოგიური შენიშვნა

ძიმითის, ნოე ჟორდანიას სახელობის, უმაღლეს პირველ-დაწყებითი სასწავლებლის მოსწავლეებმა ამ დღეებში ს. მამათში იპოვეს იშვიათი პალეონტოლოგიური ნაშთი—ორი კბილი. ერთი ძირიანია—ორშტოიანი ძირი აქვს, მეორეს მხოლოდ ზედა ნაწილია. ემალი ორივეზე კარგათაა შენახული; სიგრძე, ძირს გარდა—5½ სანტ., სიპტყე ძირთა—5 სანტ.; წვერი ვიწრო და ბასრია—კბილი სამკუთხედ პრიზმას წააგავს; გვერდები ხერხის მგზავსათაა დაკბილული, ამოაჩინეს დილიუვის სისტემის (дилювіальн. сист.) თიხაში.

ასეთი კბილების მატარებელი იყო უზარმაზარი და საშიშარი მტაცებელი, კატის ჯიშისა, რომელიც პალეონტოლოგიაში ცნობილია მახაიროდონტის სახელით (Machairodur) და რომლის მზგავსი მტაცებელი არც კი ახსოვს დედამიწას. მისი საზრდო იყო—სპილო, მამონტი, ჟირაფი, ცხვირქოსანი, გიპპოპოტამი და სხვა. და, რადგან მახაიროდონტი, როგორც სჩანს, ჩვენშიაც ყოფილა, ეს ცხოველებიც უნდა ყოფილიყვნენ. ევროპაში და ამერიკაში ჩამოთვლილი მსხვილფეხა ცხოველები მოისპო დილიუვის სისტ. (ალბათ, ჩვენშიაც), და მაშინვე მოისპო მახაიროდონტები, თუმცა იმის მოსპობა ჩამოთვლილ ცხოველების მისპობით არ აიხსნება: ვიცით, რომ მახაიროდონტი ახლა აღარ არსებობს დედამიწაზე, სპილო და სხვები ჯერ კიდევ ბევრია აფრიკაში და ინდოეთში.

ს. მამათი, საერთოდ, მდიდარი უნდა იყოს პალეონტოლოგიური ნაშთებით (გასულ წელში იმავე თიხაში იპოვეს გაქვავებული გვერდის ძვლის ნატეხი—არა ჩვეულებრივი სისხოსი: მამონტის ძვალზე ბევრათ უსხოსია). ამის მაჩვენებელი, სხვათა შორის, ისიც უნდა იყოს, რომ აქ თიხაში ფოსფორიტი ურევია, რომელიც, გეოლოგიის მოწმობით, ხშირადაა დაკავშირებული ძვლებთან.

გაბრიელ გოგუაძე.

# რესპუბლ. სააძმინისტრაციო საინსპექტოროში

### სანოვაგის თხოვნა.

ბორჩალოს მაზრის ქართველ სოფლების სიონისა და წერაქვის მცხოვრებთ შუამდგომლობით მიმართეს რესპუბლიკის ადმინისტრაციის ინსპექტორს ბ. შ. ნ. მაღლაკელიძეს აღმოეჩინოს მათ დახმარება უკანასკნელ ამბების გამო ამ მაზრაში 200 ფუთი სიმინდით და 100 ფ. ქერით ან სესხის სახით და ან დაკლებულ ფასებში. ბ. მაღლაკელიძემ თავის შუამდგომლობა აღძრა შინაგან საქმეთა მინისტრის წინაშე მათ შუამდგომლობის დასაკმაყოფილებლათ.

### სასჯელის პატიება.

რესპუბლიკის ამდმინისტრაციის ინსპექტორმა ბ. შ. ნ. მაღლაკელიძემ ტფ. საგუბერნიო ბათალიონის აფიცრებს კაპიტ. გუგუშვილს, პოდპორუჩიკ მესხიშვილს და შტ.-კაპ. გერმესაშვილს, რომელთაც ბათალიონში დისციპლინის დარღვევა ბრალდებათ სასჯელი აპატია იმ პირობით, რომ ისინი ამ ბათალიონში დატოვებულ აღარ იქნებიან.

### საგანგებო რაზმის ოქმების განხილვა.

ამ დღეებში რესპუბლიკის ადმინისტრაციის ინსპექტორი შ. ნ. მაღლაკელიძე განიხილავს ყველა იმ მრავალ რიცხოვან ოქმებს, რომელიც საგანგებო რაზმის მიერ არის შეყენებული სხვა და სხვა სანოვაგისა და საქონლის დაკავების შესახებ. ამ საქონლის ყველა პატრონებმა თვის პრეტენზიებით უნდა მიმართონ პირდაპირ საადმინისტრაციო ინსპექტორს ბ. მაღლაკელიძეს.

### საგუბერნიო ბათალიონის რევიზია.

თანახმათ რესპუბლიკის ინსპექტორის შ. ნ. მაღლაკელიძის განკარგულებისა, ტფ. საგუბერნიო ბათალიონში ამჟამათ მუშაობს კომისები, რომელნიც აწარმოებენ რევიზიას თვით ბათალიონის უფროსის პორუჩიკ ჩაჩიბაიას ხელმძღვანელობით.

### ტუსაღთა შეპყრობა.

საადმინისტრაციო საგუბ. ბათალიონის ჯარის კაცებს, რომელიც № 1 ციხეს სდარაჯობდენ 16 მარტს შეენიშნათ, რომ შეშის გადატანის დროს ციხის კარებიდან ორი კატორღელი პატიმარი გაპარულა ციხის ეზოდან. ბათალიონის ჯარის კაცნი დასდევნებოდენ და ქალაქ გარე ორთავ პატიმარი შეეპყრათ.

### აჯანყების მომწყობი.

რესპუბლიკის ადმინისტრაციის ინსპექტორ შ. ნ. მაღლაკელიძის განკარგულებით საქმე, მოქ. მეღრაბოვისა, რომელსაც შულავრის აჯანყების მოწყობა ბრალდება, გადაეცა ბორჩალოს ამბებზე მიზეზთა გამოსაკვლევათ შემდგარ ქართველ-სომეხთა კომისიას.

# მუნიციპალური ცხოვრება.

### წყალსადენის გამგის დანიშვნა.

ქალაქის წყალ-სადენის გამგეთ ავჭალაში ქალაქის გამგეობამ ინჟენერ მექანიკი ლევ ალ. პაპუნაშვილი დანიშნა.

### ბორანის იჯარით გაცემა.

ქალაქის ბორანი სატივოზე ვერის ხიდის ზემოთ ქალაქის გამგეობამ იჯარით მისცა ერთი წლის ვადით ვ. ა. ხომასურაძეს 85,797 მან.

### მუშათა კონფერენციისათვის.

ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურეთა დელეგატების კრებამ 16 მარტს დაადგინა მონაწილეობა მიიღოს მუშათა კონფერენციაში, რომელიც შესდგება ბაქოში და იქ გასაგზავნათ ოთხი დელეგატი ამოირჩია შავერდოვი, პოლოსოვი, კვალისი და კულიკოვი.

### გაფიცვისათვის.

ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურეთა დელეგატების კრებამ, რომელმაც წასულ კვირას გაფიცვის გამოცხადების ვადა 20 მარტამდე გადსდო, გუშინ გაფიცვის კომიტეტი შეავსო ოთხი წევრით, არჩეულ იქმენ მაქსიმოვი, კაჩკოევი, რაპოპორტი და ხუდადოვი თუ დანიშნულ ვადაზე იანვრის და თებერვლის აგრეთვე მარტის ჯამაგირებს გამგეობა არ დაურიგებს გაფიცვაში მონაწილეობას მიიღებენ სულ 25 საქალაქო დაწესებულების მოსამსახურენი.

### გადასახადის განაწილება

ქალაქის გამგეობამ თითონ გაანაწილა სატრაქტირო გადასახადი სასტუმროების, რესტორანების, ბუფეტების, ყავახანების და ამგვარ ქარხანების პატრონებთა შორის, რადგანაც ამ უკანასკნელებმა უარ ჰყვეს თავიანთ შორის ამისათვის კომისიის ამორჩევაზე. ჯერ გამგეობამ გაანაწილა მეოთხე ნაწილი იმ თანხისა, რომელიც მათ უნდა გადიხადონ ამ წლის განმავლობაში, ე. ი. განაწილებულია 1.138,000 მან. და ამ ფულის ქალაქის კასაში შესატანათ გამგეობამ დაუნიშნა ვადა 25 მარტამდე. ვინც ვადაზე ამ გადასახადს არ შეიტანს ქარხანა დაეკეტება და ვაჭრობა მოესპობა.

### ტრამვაის შემოსავალი

ტრამვაის ყოველდღიური შემოსავალი ამ უკანასკნელ 2—3 დღეს მოემატა და მიაღწია 74—77 ათას მანეთამდე. ტარიფის მომატების წინა ხანში დღიური შემოსავალი 36—40 ათას მან. მეტი არა ყოფილა.

# მუსიკა.

აი, სწორედ დღეს, როდესაც ცხოვრება მეტად განელებულია, ასე მოუხეშავია, ქალთა სამუსიკო წრის დაარსება დიდ ნუგეშათ მიგვაჩნია და გვწამს, რომ ჩვენი ქართველი ქალი სულს ჩაუდგამს და ააყვავებს ჩვენს ესთეთიურ მხარეს, მოჰფენს შუქს აქამდის ტანჯულ საქართველოს.

„ქალთა სამუსიკო წრე“ დაარსდა ქართულ სამუსიკო საზოგადოების გამგეობასთან, რათა გამგეობას მიეხმაროს და მასთან ერთად გაავრცელოს ჩვენში მუსიკა, რომელსაც აღზრდის კითხვაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს.

ბევრი მზადების შემდეგ „ქალთა სამუსიკო წრე“ უკვე მოეწყო ორგანიზაციულად; თავმჯდომარეთ ამორჩეულია ა. ი. ქავთარაძისა, მდივნად—ე. ნ. გოგიჩაიშვილისა, ქართ. სამუსიკო გამგეობაში ქალთა წრის წარმომადგენელად დანიშნულნი არიან ქ. ქ. ა. გ. ქიქოძისა და ე. ნ. გოგიჩაიშვილისა, გამგეობის სამუსიკო კომისიაში: ქ. ქ. ნ. თაყაიშვილისა და ვირკელაძისა.

ამასთანავე, მონაწილეობას იღებენ გამოჩენილი და ენერგიით დაჯილდოებული ქართველ-ქალთა მოღვაწენი.

„ქალთა სამუსიკო წრე“ უკვე სურვილით და სიყვარულით შეუდგა ამ დიად სასურველ საქმეს.

### ანკეტა.

ქართული სამუსიკო საზოგადოება დაინტერესებულია რა ფართო დემოკრატიის კულტურულ განვითარებით სთხოვს დემოკრატიულ ორგანიზაციებს გასცენ პასუხი შემდეგ კითხვებზე:

1) სასურველია თუ არა დაიარსონ სამუსიკო განყოფილება?

2) სასურველია თუ არა ჰყავდეთ მომღერალთა გუნდი და ორკესტრი?

3) სცნობენ თუ არა საჭიროთ ეს საქმე დაყენებული იყოს მეცნიერულ ნიადაგზე (ნოტების შესწავლა, თეორია, სოლფეჯიო და სხვა)?

4) გაქვთ თუ არა ამისათვის რაიმე თანხა?

5) გაქვთ თუ არა მეცადინეობისათვის შესაფერი ბინა?

6) შესაძლებელია თუ არა თქვენი ორგანიზაციიდან შეიკრიბოს სიმღერის მოყვარულთა გუნდი, რომელთაც შეეძლოთ სისტემატიურად იმუშაონ გუნდში, არა ნაკლებ ორჯერ კვირაში საღამოობით?

7) შესაძლებელია თუ არა თქვენ შორის მოიძებნოს ხალისიანი ორკესტრის ორგანიზაციისათვის.

ზემოხსენებულ კითხვებზე პასუხი უნდა გამოიგზავნოს წერილობით ქართულ სამუსიკო საზოგადოების გამგეობის სახელზე (სლეპცოვის ქუჩა № 4), რომელიც პასუხის განხილვის შემდეგ გამართავს სათანადო მოლაპარაკებას დემოკრატიულ ორგანიზაციებთან. პირადი ცნობების მიღება შეიძლება დილის 11—2-მდე; საღამოს 5—7 მდე.

# უცხოეთში

(საქ. ჟურ. სააგ.)

### ინგლისური პრესა.

რადიკალურ პროპაგანდის გავრცელების გამო გერმანიას ემჩნევა სოციალიზმისკენ გადახრა. წლის დასაწყისში მცხოვრებნი წინააღმდეგნი იყვნენ სოციალიზმისა და ბოლშევიზმისა არ არჩევდენ მას. ეხლა კი რადიკალიზმმა ფეხი მოიკიდა დამქირავებელთა წარმომადგენლების შორის და ეროვნულ ყრილობაში, მიუხედავათ იმისა, რომ ორივე ჯგუფს თანაბარი რიცხვის წარმომადგენლები ჰყავთ. განზრახულია საკავშირო საბჭოს გაუქმება და საბჭოს კავშირის შექმნა, რომელშიაც მუშათა წარმომადგენლები შევლენ. ამ ცვლილებას იმით ასაბუთებენ, რომ საბჭოთა კავშირში ყველა სოციალურ წრეების წარმომადგენლები შევლენ—მაშინ, როცა რეიხსტაგში მხოლოდ ოლქების წარმომადგენლები იყვნენ. ამით სურთ თავიდან აიცილონ აპრილში მოსალოდნელი მუშათა აჯანყება, რომლებიც მოითხოვენ რადიკალურ რეფორმების განხორციელებას და მუშათა საბჭოების პოლიტიკურათ ცნობას. რადიკალები აგრეთვე მოითხოვენ მრეწველობის აღორძინებაზე მუშათა კონტროლის დაწესებას, რადგან კაპიტალისტები არ აპირებენ ქარხნების გახსნას სოციალიზაციის შიშის გამო.

რადიკალების დამცველი საბჭო აცხადებს, რომ მას წილი არ მიუძღვის ბერლინის აჯანყებაში და მთავრობას, რომ იგი განძრახვით აქეზებდა და ეხმარებოდა ყოფილ რადიკალებს დიტმანის მეთაურობით. ბერლინის უწესოებას არავითარი კავშირი არ აქვს საყოველთაო გაფიცვასთან. მთავრობის დამცველ პოლკების შეჯიბრებამ გამოიწვია სისხლის ღვრა, რის შემდეგ ძარცვა გლეჯას მიჰყვეს ხელი. მთავრობას სურს კომუნისტები ბრბოს შეუერთოს, რათა თავის უძლიერეს მოწინააღმდეგეს ნდობა დაუკარგოს.

ამის გამო იყო, რომ კომუნისტური რადიკალური პრესა ჩააჩუმეს და ამავე დროს კი ბურჟუაზიულმა პრესამ „ფორვერტს“-ის პარტიის წინააღმდეგ გაილაშქრა. ვოლფის ბიურომ დაიწყო საზოგადოების [illegible] გაღიზიანება და ბოლოს გამოუშვა ცნობა, ვითომ 150 პოლიციელი მხეცურათ მოეკლათ. ამით ნოსკემ ისარგებლა და უკანონოთ შემოიღო სამხედრო საველე სასამართლო (გაუგებარია). ლიუდენდორფის სამხედრო ზომები დაჩრდილა ებერტის, ნოსკეს და შეიდემანის დესპოტიზმმა და ვოლფის ბიუროს სიცრუემ. სწარმოებს უკანონო დაპატიმრება, კონფისკაცია, ძალ-მომრეობა, რომლის დროს მცხოვრებთა სიცოცხლესაც არ ინდობენ. ყველა ეს აძლიერებს მძულვარებას მთავრობისადმი, რომელსაც ყოველ ჟამს მოელის დამხობა. საერთო მძულვარებას მოსდევს შეიარაღებული შეტაკებები და სისხლის ღვრა. ოპოზიცია სწრაფად იზრდება. მთავრობას აღარ ძალუძს სიწყნარის და წესიერების დამყარება და იგი უნდა შეიცვალოს ახალი მთავრობით, რომელიც მუშათა ნდობით იქნება აღჭურვილი.

ტყვიის-მფრქვეველთა სამი გვარდიის ბატალიონი გუშია დილით ჩამოვიდა ლონდონში. ჯარს დიდი ზეიმით მეხვდნენ. საფრანგეთიდან დაბრუნებული მე-3-მე ბატალიონს გადაეცა მეფის სალამი.

პარიზის გაზეთები ამ კვირას უწოდებენ „დიად კვირას“ რადგან გუშინ შეუდგენ ფრიად საყურადღებო საკითხების გადაწყვეტას და პირობების შემუშავებას, რომელსაც გერმანიას წარუდგენენ. იმის გამო, რომ დაპყრობილ ტერიტორიის საკითხი გადაწყვეტილია უკვე, ადვილად შესაძლებელია, რომ ოსმალეთის იმპერია გადაიქცეს პატარა „სახელმწიფოდ, რომელიც მცირე აზიაში იქნება. გამოცხადდება სტამბოლის და სრუტეების ინტერნაციონალიზაცია.

# პროვინციაში.

○ ქუთაისის სამაზრო საერობო გამგეობამ დაადგინა თვისი სამოქმედო რაიონი დასეროს ტელეფონის ქსელით. მაზრაში ტელეფონის გაყვანის და მისი ორგანიზაციის გეგმის შემუშავება დაეკისრა გამგეობის წევრს ვ. ფალავანდიშვილს. სქემა ტელეფონის გაყვანის შესახებ ვ. ფალავანდიშვილმა უკვე შეიმუშავა. მთავარი სადგური ტელეფონის იქნება ქუთაისში, თითო ძავთულით ქუთაისი იქნება შეერთებული საჩხერეთან, ხონთან, სვიოთან, ვანთან, ტყიბულთან და ბაღდათთან. მეორე ხარისხოვანი ტელეფონის სადგურები იქნება: საჩხერეში, ხონში, სვიოში, ტყიბულში და ვანში. ყველა მეორე ხარისხოვან სადგურებთან შეერთებული იქნება სოფლის საზოგადოებები.

○ ქუთაისის სამაზრო საერობო გამგეობამ შემდეგი მოწერილობა გაუგზავნა ყველა საშუალო და დაბალ სასწავლებლის გამგეობას: ჩვენთან შემოდის საჩივრები, რომ მასწავლებლები თავის მოვალეობას არ ასრულებენ. ისინი თავის კერძო საქმეებს უფრო მეტ დროს ანდომებენ, ვიდრე სკოლას, გაფრთხილებთ, რომ ასეთი მასწავლებლები დაუყონებლივ დათხოვნილი იქნებიან სამსახურიდან.

○ ქუთაისის მაზრის ერობის თავმჯდომარე კ. სულაქველიძე გაემგზავრა სოფ. წაბალასხევში ალექსანდროვსკის ხე-ტყის ქარხნის ჩასაბარებლათ.

○ საქართველოს სკრედიტო დაწესებულებებში მოსამსახურეთა სიეზდმა გამოუგზავნა ქუთაისის საურთიერთო ნდობის ბანკის მოსამსახურეებს შემდეგი შინარსის დეპეშა: სიეზდმა მოისმინა რა მოხსენება მოსამსახურეების გაფიცვის შესახებ, მოიწონა თქვენი მოქმედება. გიცხადებს ამხანაგურ თანაგრძნობას და აღუთქვამს ყოველგვარ დახმარებას თქვენი კანონიერ მოთხოვნილების დაკმაყოფილებაში.

○ ქუთაისის სამაზრო საერობო გამგეობამ შემდეგი შინაარსის მოწერილობა გაუგზავნა ზეკარის საზოგადოების კომისარს: სახალხო სკოლების ინსტრუქტორის მოხსენებით სოფ. კაკასხიდის მცხოვრებნი თავიანთ შვილებს სასწავლებელში არ უშვებენ, რის გამო კაკასხიდის სასწავლებელში მეცადინეობა არ სწარმოებს. წინადადებას გაძლევთ მიიღოთ ენერგიული ზომები და ძალით მოთხოვოთ სოფ. კაკასხიდის მცხოვრებთ, რომ მათ თავიანთი ბავშვები გაუშვან სასწავლებელში, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ მოეთხოვებათ პასუხი მით უფრო, რომ შემოღებულია უფასო და სავალდებულო სწავლა.

○ ქუთაისის სამაზრო საერობო გამგეობამ ერობაში მეხილეობის ინსტრუქტორათ მოიწვია გ. დუნდუა.

○ ვეტერინარული ნაწილის გამგის თანამდებობაზე ქუთაისის სამაზრო საერობო გამგეობამ მოიწვია ვეტერინარი ექიმი ბესარიონ შენგელია.

○ სამიწად-მოქმედო სამინისტროს წარმომადგენელი უკვე შეუდგა ქუთაისის გუბერნიის საადგილ-მამულო კომიტეტის სალიკვიდაციო საქმეების ჩაბარებას.

# ქრონიკა

○ შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელის ნ. ჩიკვაიძის თავმჯდომარეობით შესდგა პირველი სხდომა ლტოლვილთა დამხმარებელ კომიტეტისა, რომელსაც შეადგენენ წარმომადგენელნი ქალაქის თვითმართველობისა, ასირიელ, სომეხთა, რუსთა და ბერძენთა ეროვნულ საბჭოების წარმომადგენელნი, კომისიამ მცირე კომისია აირჩია ამ კომიტეტის წესდების შესამუშავებლათ, გამოსარკვევლათ სალტოლვილო პოლიტიკის საკითხის და საზოგადოებების უწყების წრის დასაარსებლად.

○ ტფილ. მილიციის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარემ სამართალში მისცა ტფ. მეხუთე კომისარიატის ყოფილი უფროსი მილიციონერი პლატონ თეოხარი, მეცხრე კომისარიატის კომისრის თანაშემწე გ. ქუასელი და მილიციინერები ამავე კომისარიატისა ნ. კიკნაძე და ი. ჯანელიძე, მთელი საბრალდებლო საქმე მათზე კომისიამ გადასცა საგანგებო სასამართლოს ბრალმდებელს მათ გასასამართლებლათ საგანგებო სასამართლოს მიერ.

○ 9 მარტს შესდგა საზოგადო კრება ტფილისის საპასუხისაგებო საბაჟო არტელის წევრებისა. კრებამ დაამტკიცა—გასულ წლის ანგარიში და მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვა. არტელის საქმეთა მამგეთ მიმდინარე წელს ხელახლა არჩეულ იქმნა გ. ზ. არაქელოვი, არჩეულ იქმნენ გამგეობის წევრებიც. არტელს მომზადებული მოსამსახურეები კასირები, მოლარენი, გამგენი და სხვ. ჰყავს. არტელის წევრთა შორის ირიცხებიან ბუხჰალტრები, მონგარიშენი, კონტორის გამგენი, ვაჟები და ქალები და სხვ. არტელი ასრულებს სავაჭრო დავალებებს, იღებს საქონელს შესანახათ საწყობებში და სესხის გაცემით, კისრულობს საქონლის დატვირთვა-გადაზიდვის საქმეს და სხვ. ყველა მიბარებულ ძვირფას ნივთებზე და ფულზე არტელი მთელ თავის სათადარიგო თანხით პასუხს აგებს.

# სია

### ჩაუბარებელი დეპეშების ტფილისის ცენტრალურ ტელეგრაფის კანტორისა 16 მარტის 1919 წ.

ბაქოდან—რატომსეის, იქიდანვე—ელაგოვს, ქვემო-მაჩხაანიდან—ჯალაშვილი, ბორჯომიდან—მხეიძე, ბაქოდან—ანავარძე, ქუთაისიდან—კალანდარაშვილი, ლაილაშიდან—ტერგაბრიელიანცს, ანანურიდან—ოლიგინსკი, ქუთაისიდან—გველესიანი, ოზურგეთიდან—დოიძე, შორაპანიდან—ბერიძე, სამტრედიიდან—ბოლუიდეს.

# წესდება

### ელინთა ნავთის სამრეწველო და სავაჭრო სააქციო საზოგადოებისა კავკასიაში „ბიზანტია“

§ 54. გამგეობის მიერ შედგენილი იმ აქციონერთა სია, რომელთაც უფლება აქვთ კრებაში მონაწილეობა მიიღონ, მათი კუთვნილი აქციების ნომრების აღნიშვნით, დაიკიდება საზოგადოების ბინაზე ოთხი დღით ადრე საზოგადო კრებამდე. აღნიშნულ სიის ასლი ეძლევა თითეულ აქციონერს მისი თხოვნის თანახმად.

§ 55. საზოგადო კრებამდე, სარევიზიო კომისია გადასინჯავს აქციონერთა სიას (§ 54), ამასთან კრებაზე დამსწრე აქციონერთა მოთხოვნით, რომლებიც წარმოადგენენ ძირითად თანხის არა ნაკლებ ერთი მეოცედი ნაწილისას, აღნიშნულ სიის გადასინჯვა უნდა მოხდეს თვით კრებაზედაც იმ პირთა მიერ, რომელთაც აქციონერები ირჩევენ თავის წრიდან, რიცხვით არა ნაკლებ სამისა, რომელთა შორის ერთი უნდა იქნეს არჩეული იმ აქციონერთა ჯგუფის მიერ, რომელთაც სიის გადასინჯვა ითხოვეს.

§ 56. კრებას ხსნის გამგეობის თავმჯდომარე ან მისი მოადგილე, პირველ კრებას ხსნის დამაარსებელი. კრების გახსნის შემდეგ აქციონერები, რომელთაც ხმის უფლება აქვთ, ირჩევენ თავის წრიდან თავმჯდომარეს. საზოგადო კრების თავმჯდომარეს არ აქვს უფლება თავის ნებით გადადვას იმ საქმეთა განხილვა, რომლებიც შემოტანილი არის საზოგადო კრებაში.

§ 57. რომ საზოგადო კრება ნამდვილად ჩაითვალოს, საჭიროა, რომ მას დაესწროს აქციონერები ან მათი რწმუნებულები, რომლებიც წარმოადგენენ ძირითადი თანხის არა ნაკლებ ერთი მეხუთედისას, იმ კითხვების გადასაწყვეტად კი, რომელნიც ეხებიან ძირითადი თანხის გადიდებას ან შემცირებას, წესდების შეცვლას და საქმეების ლიკვიდაციას, საჭიროა იმდენ აქციონერთა ან მათ რწმუნებულთა დასწრება, რომლებიც ძირითად თანხის არა ნაკლებ ნახევრისას წარმოადგენენ.

§ 58. საზოგადო კრების დადგენილებას აქვს სავალდებულო ძალა, როცა ის იქნება მიღებული აქციონერთა ან მათი რწმუნებულების სამი მეოთხედი ხმით ამ ხმების დათვლით § 50 მიხედვით. არჩევა ან გადაყენება გამგეობისა, სარევიზიო და სალიკვიდაციო კომისიის წევრებისა და საზოგადო კრების თავმჯდომარის არჩევა ხდება უბრალო ხმის უმრავლესობით.

§ 59. თუ საზოგადო კრებაზე დამსწრე აქციონერები ან მათი რწმუნებულები არ წარმოადგენენ ძირითადი თანხის იმ ნაწილს, რომელიც აუცილებელია იმისათვის რომ კრება კანონიერად ჩაითვალოს (§ 57), ანდა საერთო კრებაზე საზოგადო საქმეების გარჩევის დროს თუ სამი მეოთხედი ხმებისა ერთი აზრის არ აღმოჩნდა, იმ შემთხვევის გარდა, როცა საკმარისია უბრალო ხმის უმრავლესობა (§ 58), არა უგვიანეს ოთხი დღისა, ყველა წესების დაცვით, რომლებიც აღნიშნულია მე-46 §-ში, იწვევენ მეორე საზოგადო კრებას, რომელიც ინიშნება არა უადრეს 14 დღისა გამოცხადების შემდეგ; ეს კრება ითვლება კანონიერად და მისი გადაწყვეტილება საბოლოოდ, მიუხედავად იმისა, თუ რომელ ნაწილის ძირითადი თანხისას წარმოადგენენ კრებაზე დამსწრე აქციონერები ან მათი რწმუნებულები. ამის შესახებ გამგეობამ მოწვევასთან ერთად უნდა აცნობოს აქციონერებს. მეორეთ მოწვეული კრება განიხილავს მხოლოდ ისეთ საქმეებს, რომლებიც უნდა განეხილა ან განუხილველი დარჩა პირველ საზოგადო კრებას, ეს საქმეები ირჩევა ხმის უმრავლესობით.

§ 60. აქციონერს, რომელიც უმრავლესობას არ დაეთანხმება, უფლება აქვს განსაკუთრებული აზრი განაცხადოს, რაც შეტანილი იქნება საზოგადო კრების ოქმში. ის პირი, რომელიც განსაკუთრებულ შეხედულებას განაცხადებს, შვიდი დღის განმავლობაში საზოგადო კრებიდან, უფრო დაწვრილებით შეუძლიან წარმოადგინოს თავისი განსაკუთრებული შეხედულება ოქმში შესატანად.

§ 61. საზოგადო კრების დროს ხმის მიცემა უნდა იქნეს ფარული, თუნდაც ეს მოითხოვოს ერთმა ხმის მქონე აქციონერმა. ფარული კენჭის ყრა აუცილებელია გამგეობის, სარევიზიო კომისიის და სალიკვიდაციო კომისიის წევრთა არჩევის და გადაყენების საკითხის გადასაწყვეტად, და აგრეთვე მათი პასუხისგებაში მიცემისთვის.

§ 62. გადაწყვეტილება, რომელიც მიიღო საზოგადო კრებამ, სავალდებულოა ყველა აქციონერთათვის, როგორც დამსწრეთათვის, აგრეთვე არა დამსწრეთათვისაც.

§ 63. იმ საქმეების შესახებ, რომელსაც იხილავს და სწყვეტს საზოგადო კრება იწერება დაწვრილებითი ოქმი. კრების მიერ გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ აღნიშნული უნდა იყოს, როგორი ხმის უმეტესობით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება და ამავე დროს აღინიშნება აგრეთვე განცხადებული, განკერძოებული შეხედულებანიც. ოქმს სწერს, რომელიც მოწვეულია კრების თავმჯდომარის მიერ აქციონერთა რიცხვიდან, ან სხვა ვინმე გარეშე, ამასთანავე კრების თავმჯდომარე პასუხისმგებელია იმაზე, თუ რამდენად სისწორით ოქმი გამოხატავს კრებაზე წარმოებულ მსჯელობას. ოქმის სისწორეს ამტკიცებს თავისი ხელის მოწერით კრების თავმჯდომარე, და აგრეთვე სურვილისამებრ სხვა აქციონერებიც, რიცხვით არა ნაკლები სამისა. გამგეობის მიერ დადასტურებული საზოგადო კრების ოქმის ასლი, განკერძოებული შეხედულებანი და საერთოდ ყველა დამატება, მოთხოვნილებისამებრ უნდა ეძლეოდეს თვითეულ აქციონერს შინ გადასათვალიერებლად.

**საზოგადოების საქმეთა შესახებ დავის გარჩევა, პასუხისმგებლობა და შეწყვეტა ამ საქმეთა მოქმედებისა.**

§ 64. საზოგადოების საქმეების შესახებ ყველა დავა აქციონერთა შორის, აქციონერთა და გამგეობის წევრთა შორის, აგრეთვე დავა გამგეობის წევრთა შორის და საზოგადოების მიერ არჩეულ პირთა შორის და საზოგადოების დავა საზოგადოებებთან, ამხანაგობებთან და კერძო პირებთან წყდება ან აქციონერთა საზოგადო კრებაზე, თუ ორივე მოდავე მხარე ამაზე დასთანხმდება ან გაირჩევა საერთო სასამართლო წესით.

§ 65. საზოგადოების პასუხისმგებლობა განისაზღვრება მის კუთვნილ ქონებით, ამიტომ წარმოების ცუდათ წაყვანის დროს ან მასზე საჩივრის აღძრვის დროს, თითეული აქციონერთაგანი პასუხისმგებელია მხოლოდ შეტანილი ფულით, რომელიც უკვე საზოგადოების კუთვნილებათაა ქცეული, და ამის მეტი, არც პირადი პასუხისმგებლობა და არც რამე დამატებითი ფულის გადახდა საზოგადოების საქმეების შესახებ მათ არ მოეთხოვება.

§ 66. საზოგადოებისთვის არსებობის ვადა არ ინიშნება. საზოგადოების მოქმედება სწყდება აქციონერთა საზოგადო კრების გადაწყვეტილებისამებრ, შემდეგ, გარდა მე § 8, შემთხვევებში: 1) თუ საქმეთა მსვლელობის გამო საზოგადოების დახურვას აუცილებლათ სცნობენ და 2) თუ საზოგადოების ბალანსის მიხედვით აღმოჩნდება დაკარგვა ძირითადი კაპიტალის ორი მეხუთედისა და აქციონერები არ შეავსებენ მას ერთი წლის განმავლობაში საზოგადო კრების მიერ, როდესაც აღმოჩნდება კაპიტალის სიმცირე, ამ ღღის ანგარიშის დამტკიცების შემდეგ.

თუ ძირითადი კაპიტალის ორი მეხუთედის დაკარგვის შემდეგ და აქციონერების მისი შევსების შესახებ სურვილის გამოთქმის შემდეგ, თუ რომელიმე აქციონერმა არ შეიტანა ზემოაღნიშნულ დროის განმავლობაში სათანადო რამდენიც მისგან მოითხოვება აქციების მიხედვით დამატებითი ფული, მაშინ ეს აქციები ცხადდება მოსპობილათ, რის შესახებაც საყოველთაოდ საცნობათ აშკარავდება და იცვლება ახალი აქციებით იმავე ნომრებით, რომელიც იყიდება საზოგადოების გამგეობის მიერ ადგილობრივ ან გამგეობის სამყოფ ადგილზე ან წარმოების ადგილზე ახლომყოფ საზოგადოების ბირჟის მაკლერების საშუალებით. ამ აქციებიდან გაყიდული შემოსული ფულის ნაწილი, გაყიდვისა და განცხადების ხარჯის დაფარვის შემდეგ, რომელიც უდრის აქციების დამატებითი შესატან ფულს, მიდის ძირითადი კაპიტალის შესავსებათ, დანარჩენი კი ეძლევა მოსპობილ აქციების ყოფილი პატრონს.

## განცხადებები

სიღნაღის მაზრის მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობის თავმჯდომარე, ამით აცხადებს, რომ სიღნაღის სამომრიგებლო ოლქისთვის საჭიროა სასამართლოს ბოქაულები შემდეგ უბნებისთვის: სიღნაღის, ქოდალოს, მაჩხაანის, გურჯაანის, ლაგოდეხის და თვით ყრილობისთვის.

ჯამაგირი თვითეულ უბნის ბოქაულს ეძლევა 450 მან. ყრილობისას 500 მან. მსურველთ თხოვნა და წარსულ ნამსახურობის მოწმობები უნდა წარუდგინონ ყრილობის თავმჯდომარეს ქ. სიღნაღში.

372

---

ვინაიდან ტფილისის სასამართლო პალატის უფროსი თავმჯდომარეს ბრძანებით ამა წლის 24 თებერვლიდან № 11 ბაღდადის ნოტარიუსი სტეფანე ხოჯივანოვი დათხოვნილია თავის თანამდებობიდან, ქუთაისის ოლქის სასამართლო ამით იწვევს იმ პირთ, ვისაც სურს დაიკავოს ზემო აღნიშნური ნოტარიუსის თანამდებობა და დააკმაყოფილებენ პირობებს, ნაჩვენებს მე-5 და 15 ნოტარიალურ წესდების მუხლებში, შემოიტანონ თხოვნა ოლქის სასამართლოს თავმჯდომარის სახელზე. კანონით არსებული გამოცდა დანიშნულია ოლქის სასამართლოში—17 აპრილს ამა 1919 წ. დილის 11 საათზე.

---

ვასილი მაღრაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სასურსათო საბჭოს წიგნაკი, რაც გაუქმებულათ უნდა ჩაითვალოს. 379 3—1

---

ზაქარია გიორგის ძე მაღალაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ნასყიდობის სიგელი, დამტკიცებული ტფ. ოლქ. სასამ. უფროსი ნოტარიუსის მიერ 1912 წ. ივნისს 1-ს, რეესტრი № 1918.

369 3—1

---

მინას პახლაუნი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ატესტატი № 328, მიღებული ტფილისს პირველ კომერციულ სასწავლებლიდან 1915 წ. აპრილის 29 ს.

360 1—1

---

ნინო ვასილის ასული პოზინა პოზინსკაია აცხადებს, რომ რწმუნების ქაღალდი, მიცემული აპოლონ დიმიტრის ძე თათაშვილის სახელზე და შედგენილი ტფილისის ნოტარიუს მიტკევიჩთან 1918 წ. მარტის 6-ს № 1110—გაუქმებულად ითვლება.

370 3—1

---

იაკობ გაბრიელის ძე პუშნი[illegible] აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ხელწერილი, მიცემული ყარსის ხაზინიდან 30,000 მანეთისა რაც გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს. 376 3—1

---

ოლღა მიხეილის ასული ნახამკისი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა უვადო პასპორტი მიღებული ოდესის მეშჩანების სამმართველოდან.

355 3—3

---

სურენ კარაპეტის ძე კასპარიანცი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ტფილისის ვაჟთა მეოთხე გიმნაზიიდან 1913 წ. მიღებული სიმწიფის მოწმობა, რომელიც გაუქმებულად ითვლება.

350 3—3

---

შახვულოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა მოწმობა №99, მიღებული 1919 წ. მევენახეობისა და მეღვინეობის ტფილისის გუბ. კომიტეტიდან. 351 3—3

---

14 მარტს, დაიკარგა კვიტანცია პეტერბურგის საერთაშორისო ბანკის ტფილისის განყოფილებისა 1933 მან. და 84 კ. ღირებულებისა, რომელიც მიცემული იყო ვ. მ. ზურაბოვის სახელზე დღიდან ამ განცხადებისა გაუქმებულათ უნდა ჩაითვალოს. 366 3—3

---

არუტინ აგაჯანოვ-ს ძე იუბაშევი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ტფ. სახელმწიფო ბანკის კვიტანცია № 51077, 10000 მანეთის რაც გაუქმებულათ უნდა ჩაითვალოს.

381 3—1

---

პ. ა. პაპაჯანოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა უვადო პასპორტი, მიღებული ტფილისის პოლიცმეისტერის სამმართველოდან 1916 წ. და დროებითი მოწმობა დეშიდოვის ლიცეისა. პასპორტი და მოწმომობა გაუქმებულად ითვლება. 347 3—2

---

საქართველოს რესპუბლიკის ჯარების სამხედრო სასამართლოს 1919 წ. 20 თებერვლის დადგენილებით, თანახმად 951 მუხ. სისხლის სამ. წესდებისა, ეძებს ქალაქ ტფილისში მცხოვრებს, კაპიტან, ევგენი გუსტავის ძეს გოხს, 28 წლისას, რომელსაც ბრალი ედება მე 96, 97 და 105 მუხ. XXII წიგნ. კ. ს. დ. 1869 წ. გამ. 4. ყველა ვინც იცის სად იმყოფება გოხი, ვალდებულია განუცხადოს საქართველოს რესპუბლიკის ჯარების სამხედრო სასამართლოს, რომელიც იმყოფება ქ. ტფილისში (ოლღას ქუჩა № 48). 398 3—3

---

დაკარგულია მოწმობა ტფილისის ტეხნიკურ სასწავლებლის 2 კლასის დამთავრებისა, მიცემული ვასილ ალექსის ძე გეორგაძის სახელზე. მოწმობა გაუქმებულად ითვლება.

358 3—3

---

მე 5 თე ქვეითა რაზმის უმწყობრო გუნდში იყიდება უვარგისი ფურგონის თვლები, მისი ნაწილები და უვარგისი ცხენის ტყავ-მოსართავები. შეჯიბრება დანიშნულია 19 მარტს დილით. დაწვრილებითი ამბავი პოლკის ინტენდანტთან. 373 3—2

---

დიანოზ ლუკას-ძე ინასარიძე აცხადებს რომ მან დაჰკარგა პასპორტი მიღებული ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსისაგან 1918 წ. თიბათვეში, რაც გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს.

---

მირკიტიჩ კასპარ ავეტისიანცი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი № 496, რომელიც გაუქმებულად ითვლება. 340 3—2

---

სიმონ იოსების ძე მაისურაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ამიერ კავკასიის ბანკის აქცია, რაც გაუქმებულათ უნდა ჩაითვალოს.

378 3—2

---

ამით ვაცხადებ, რომ სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურეთა კოოპერატივის წიგნი, ჩემს სახელზე გამოტანილი, დაკარგულია და გაუქმებულათ ჩაითვლება. მიხეილ სიმონისძე ლორთქიფანიძე.

377 3—2

---

მაკარი გიორგის ძე თავდომაძე აცადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი № 126 მიღებული ოზურგეთში, რაც უნდა ჩაითვალოს გაუქმებულათ. 365 3—3

---

პელაგია გაბრიელის ასული კოლესნიკოვა აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ნასყიდობის სიგელი, დამტკიცებული ტფილისის ოლქის სასამართლოს ნოტარიუსის მიერ 1898 წ. მაისის 18-ს, რეესტრი № 1345.

354 3—3

სტამბა საქართველოს მთავრობისა.

რედაქტორი პ. დ. ხაყვარელიძე